კონფერენცია

„განათლების მართვის აქტუალური საკითხები - 2015"

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი განათლების მართვის პროგრამის ფარგლებში 2015 წლის 22, 23, 24, 25 ოქტომბერს მართავს კონფერენციას სახელწოდებით **„განათლების მართვის აქტუალური საკითხები".**

კონფერენციის მიზანი: განათლების მართვის სფეროში აქტუალური საკითხების, კვლევებისა და მართვის წარმატებული მაგალითების გაზიარება/პოპულარიზაცია საქართველოში განათლების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული

მოსალოდნელი შედეგი:

- განათლების მართვის სფეროში მომუშავეთ საშუალება მიეცემათ კოლეგებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და განიხილონ წარმატებული მაგალითები;
- გააუმჯობესონ განათლების მართვის სფეროში არსებული წარმატებული პრაქტიკა.

კონფერენციის მონაწილეები:

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლის დირექტორებს/დირექტორის მოადგილეებს, სკოლის საქმისმწარმოებლებს, ბიბლიოთეკარებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებს, განათლების ექსპერტებს, განათლების სფეროში მომუშავე ტრენერებს, განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, განათლების ადმინისტრირების პროგრამების მქონე უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს.

კონფერენციის ძირითადი მიმართულებები:

კონფერენციის მოხსენებების თემატიკა უმეტესად შეეხება ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს, თუმცა შესაძლებელია სხვა რელევანტური თემატიკის შემოთავაზებაც.

- სკოლის ადმინისტრაციის/პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება;
- მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლება და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა;
- განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის;
- კონფლიქტების გადაჭრა, ძალადობა/ბულინგი სკოლებში;
- ინტერკულტურული განათლება სკოლებში/ უნივერსიტეტებში;
- მონაწილეობითი (დისტრიბუციული) ლიდერობა სკოლაში;
- პრაქტიკული კვლევა სკოლაში;
- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობები სკოლებში;
- სამეურვეო საბჭოების ეფექტური მუშაობა სკოლაში;
- სკოლის განვითარება;
- სკოლის ბიბლიოთეკების მუშაობა;

- საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება განათლების მართვის პროცესში;
- ინკლუზიური განათლება სკოლებში/უნივერსიტეტებში;
- მშობელთა და საზოგადოების (თემის) ჩართულობა სკოლის მართვაში;
- მონიტორინგის და შეფასების ეფექტური სისტემები.

მნიშვნელოვანი თარიღები:

2015 წლის 1- 21 სექტემბრი - კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით მსურველებმა უნდა შეარჩიონ თემა, მოამზადონ აბსტრაქტი (1-2 გვერდი) და გამოაგზავნონ შევსებულ სარეგისტრაციო ფორმასთან ერთად. **2015 წლის 28 სექტემბერი-** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი განიხილავს კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლის მსურველთა მიერ წარმოდგენილ განაცხადებსა და აბსტრაქტებს და შერჩეულ კანდიდატებს აცნობებს, რათა მოამზადონ სრული მოხსენებები და პრეზენტაციები მოწონებულ თემაზე. **2015 წლის 5 ოქტომბერი -** სრული მოხსენებებისა და პრეზენტაციების ჩაბარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის.

პრეზენტაციის ფორმა: ზეპირი მოხსენების თეზისები საპრეზენტაციო ფორმატში (Power Point), მოხსენების რეგლამენტი - 15-20 წუთი (დაახლოებით 20 სლაიდი).

საკონფერენციო მოხსენება უნდა ეფუძნებოდეს ავტორის მიერ 2010 - 2015 წლებში განხორციელებულ აქტივობებს/პროექტებს/კვლევას.

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცემათ კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კონფერენციის აბსტრაქტები გამოქვეყნდება ელექტრონული პუბლიკაციის სახით.

კონფერენციის მონაწილეების შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება მსურველებს, რომლებმაც გამოაგზავნეს აბსტრაქტები.

მოხსენების აბსტრაქტი

აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს word-ის დოკუმენტში, 1-2 გვერდი, A4 ფორმატი, Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5. აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს:

- მოხსენების სახელწოდებას
- პრობლემის/საკითხის აღწერას
- განხორციელებულ სამუშაოებს/აქტივობებს
- შედეგებს
- დასკვნას

აბსტრაქტის შეფასების კრიტერიუმები:

- პრობლემის/თემის აქტუალობა და შესაბამისობა საკონფერენციო თემატიკასთან;

- ინოვაციურობა და შემოქმედებითობა;
- აბსტრაქტის შემადგენელი ნაწილების ლოგიკური ურთიერთკავშირი;
- პოტენციური წვლილი განათლების მართვის არსებული პრაქტიკების გაუმჯობესებაში.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე:
https://docs.google.com/forms/d/1HVJHrPWJ3eGtaT42cOgr7cu8fLqrZX8M-wDdRh74VHo/viewform

აბსტრაქტები მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმატით 2015 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე kingorokva@tpdc.ge

ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება.